ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აზარტული თამაშების გავლენა სტუდენტებზე

ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი

ნინო დურგლიშვილი

სტუდენტი: მაგდა წიკლაური

თბილისი 2023

სარჩევი

ანოტაცია.....2

საკვანძო სიტყვები.....3

ძირითადი ცნებების განმარტებები.....3

შესავალი.....4

თემის აქტუალურობა.....5

კვლევის მიზანი.....6

კვლევის ობიექტი და საგანი.....6

კვლევის მეთოდები და შერჩევა.....6

ტექსტის ძირითადი ნაწილი.....7

თემა 1. სტუდენტების ცხოვრება და აზარტული თამაშები

1.1.რა საფრთხეები შეიძლება გამოიწვიოს სტუდენტებში აზარტულმა თამაშბმა?.....8

1.2.თამაშის დაწყების მიზეზი.....9

1.3.როგორ ზეგავლენას ახდენს აზარტული თამაშები სტუდენტების სწავლასა და აქტიურ ცხოვრებაზე.....10

თემა 2. რატომ თამაშობენ სტუდენტები აზარტულ თამაშებს?

2.1.სიამოვნების მისაღებად.....11

2.2.ფინანსური კეთილდღეობისთვის.....11

2.3.თავდაჯერებულობის და თვითშეფასების ასამაღლებლად.....13

2.4.არასასურველი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად.....13

თემა 3. აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული სტუდენტები და საზოგადოება

3.1.როგორი დამოკიდებულება აქვს საზოგადოებას აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული სტუდენტების მიმართ?.....14

3.2.რა პრობლემებს აწყდებიან მოთამაშეები სოციალიზაციის პროცესში?.....14

3.3.როგორ შეგვიძლია დავეხმაროთ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ სტუდენტებს?.....15

თვისებრივი კვლევის შედეგები.....16

რაოდენობრივი კვლევის შედეგები.....20

დასკვნა.....27

რჩევა-რეკომენდაციები.....28

გამოყენებული ლიტერატურა.....28

ანოტაცია

აზარტული თამაშები, ეს არის თამაშის აქტივობა ფულის სანაცვლოდ. აქტივობები, რომლებიც აზარტულ თამაშებად ითვლება, შეიძლება იყოს კარტის თამაში, ფსონები რბოლებზე, კაზინო თამაშები და ა.შ. ცნობილია ის ფაქტი, რომ აზარტული თამაშები ძალიან ბევრგან ლეგალურია, თუმცა ეს ამ საქმიანობის წამოწყებას არანაირად არ ამართლებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ინტერნეტზე

დაფუძნებული აზარტული თამაშებში ჩართული სტუდენტების რიცხვი ნელნელა იზრდება და ისინი უკვე დამოკიდებულები ხდებიან ასეთი სახის თამაშებზე. აზარტული თამაშები იწვევს უამრავ უარყოფით შედეგებს ახალგაზედებში. ძალიან ბევრს ეწყება სხვადასხვა სახის აშლილობები. აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ სტუდენტებში ძალიან ხშირია სხვადასხვა სახის დანაშაულებრივი ქმედებები, მაგ: ძარცვა, ოჯახში ძალადობა, მკვლელობა და ა.შ. ფართოდ გავრცელებული ინფორმაციაა ის რომ აზარტული თამაშების მოყვარული სტუდენტები, უფრო ხშირად მოიხმარენ სასმელებს, მოსაწევს, ნარკოტიკს. ასეთ ადამიანებს ხშირად აქვთ დიდი ოდენობის ვალები, რადგან არ შეუძლიათ საკუთარი თავების კონტროლი. ყველაფერი ამის შემდეგ მათი თანმდევი დაავადებებია დეპრესია, შაკიკი, ფსიქიკური აშლილობა, შფოთვა. აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ სტუდენტებში, ხშირად შეინიშნება ოჯახის წევრებთან უთანხმოება, საკუთარ თავში ჩაკეტვა. ისინი მთლიანად ჩაფლულნი არიან თამაშებში და გარშემო ვერავის ამჩნევენ, მათთვის ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს აზარტული თამაშისთვის უკანონოდ ფულის შოვნა, რადგან ის თამაშზე უკვე დამოკიდებულია. ასეთ ახალგაზრდებში ძალიან ხშირად ვაწყდებით სუიციდის შემთხვევებს, რაც სწორედ მათი არასწორი ცხოვრების წესიდან არის გამოწვეული.

საკვანძო სიტყვები:

აზარტული თამაში, მოთამაშე, სლოტი, კაზინო, ონლაინ.

ძირითადი ცნებების განმარტებები:

აზარტული თამაში - აზარტული თამაში თამაშის აქტივობაა ფინანსური სარგებლის ან უბრალოდ სიამოვნების მისაღებად. ეს შეიძლება იყოს კარტის თამაში, პოკერი, რაიმეზე ფსონების დადება და ასევე ონლაინ აზარტული თამაშები.

მოთამაშე - უშუალოდ ის პიროვნება ვინც ჩართულია თამაშის პროცესში.

სლოტი - ეს არის აზარტული თამაშის ელექტრონული ვერსია, სადაც პროპორცია მოგების და წაგების დროს დაცული და წინასწარ გარკვეულია. მოგების შემთხვევაში ჩართულია ალგორითმის პრინციპი.

კაზინო - კაზინო ეს არის სპეციალური სათამაშო დაწესებულება, სადაც მრგვალ მაგიდებთან მოთამაშეებს შეუძლიათ ითამაშონ მაგ: ბანქო, გააგორონ კმათელი და სხვა მრავალი თამაშის სახეობაში ჩართვაა შესაძლებელი.

ონლაინ- ეს არის აზარტული თამაშის უახლესი და ყველაზე გამარტივებული სახეობა, რაც განპირობებულია ტექნოლოგიების და ონლაინ ჩართულობის დაწინაურებით. ბევრისთვის თამაშის ეს სახეობა მეტად კომფორტული და მისაღებია, რადგან არ უწევთ სახლიდან გასცვლა და ონლაინ შეუძლიათ აზარტულ თამაშებში მონაწილეობა.

შესავალი

აზარტული თამაშები საკმაოდ დიდი ხანია, რაც აქტუალურია მთელს კაცობრიობაში. თავდაპირველად აზარტული თამაშები დაიწყო სხვადასხვა თამაშებზე ფსონების დადებით და ასე ერთმანეთთან შეჯიბრებებით, მოგვიანებით ამას დაემატა აზარტული თამაშებისთვის სპეციალური დაწესებულება სახელწოდებით კაზინო, სადაც სხვადასხვა სახის აზარტულ თამაშში მონაწილეობა გახდა შესაძლებელი და უფრო საინტერესო იყო საზოგადოებისთვის. შემდგომში ამას დაემატა ონლაინ აზარტული თამაშები, რამაც მსგავსი ტიპის თამაშები თითქმის ყველასთვის უფრო მარტივი და საინტერესო გახადა. დღეს აზარტული თამაშები და განსაკუთრებით ონლაინ აზარტული თამაშები უკვე განსაკუთრებით აქტუალურია. ბევრი სტუდენტისთვის სასწავლო დაწესებულება არის სტრესული გარემო, სადაც ის არა საკუთარი სურვილით, არამედ გარკვეული მიზეზების გამო იწყებს სწავლას. სწორედ ამ არასასიამოვნო გარემოსგან თავის დასაღწევად ის მიმართავს აზარტულ თამაშებს და მოგვიანებით უკვე მასზე დამოკიდებული ხდება.

აზარტული თამაშები დღეს 21-ე საუკუნეში უკვე განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ზოგადად საზოგადოებაში, კერძოდ სტუდენტებში. სწორედ ეს თამაშები ახდენს მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე და მოგვიანებით უკვე ქცევებზე უარყოფით ზეგავლენას. აზარტული თამაშები ამ ეპოქის განუყოფელი ნაწილია და მასში უკვე საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილია ჩართული.

თემის აქტუალურობა

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება სტუდენტებისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს, ვინაიდან სრულიად შესაძლებელია თამაშებმა ფსიქიკური აშლილობა გამოიწვიოს. ინტერნეტის საშუალებით ძალიან აქტიური გახდა აზარტული თამაშების ონლაინ ვერსიები და თუ ადრე სტუდენტები სხვა აქტივობებით იყვნენ მეტწილად დაკავებულები, ახლა ყველანაირი პირობა აქვთ შედარებით გამარტივებულად ითამაშონ აზარტული თამაშები. მსგავსი ტიპის თამაშები სტუდენტებში უპირველესად მწვავე სოციალურ პრობლემებს იწვევს. სტუდენტების ეს კატეგორია ხდება ნელნელა ჩაკეტილი, რათა არ ქონდეთ ოჯახის წევრებთან და გარშემო მყოფ საზოგადოებასთან ურთიერთობა, ამ შემთხვევაში ისინი უფრო მარტივად შეძლებენ თავიანთი ცხოვრებისეული გრეხების დამალვას. სტუდენტები, რომლებიც ონლაინ აზარტულ თამაშებზე არიან დამოკიდებულები ხდებიან ძალიან მგრძნობიარეები, მუდივად გაღიზიანებულები არიან და მოულოდნელად უმნიშვნელო რამეებზეც კი შეუძლიათ წყობიდან გამოსვლა. ადამიანების ეს კატეგორია არ აღიარებს აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას და ფიქრობენ, რომ თავიანთ ქმედებებს ბოლომდე აკონტროლებენ, თუმცა, ეს რა თქმა უნდა ასე არ არის, და ისინი ამ მოსაზრებით მხოლოდ რეალობას არიდებენ თვალს. სტუდენტებისთვის ყველაფერ უარყოფითთან ერთად აზარტულ თამაშბზე დამოკიდებულება ხდება აკადემიური მოსწრების ძალიან ცუდი მაჩვენებელი. ისინი თამაშებზე გადართულობის გამო ვერ ასწრებენ ან/და თუ ასწრებენ ვერ უდებენ სწავლას

გულს, რაც მათ სტუდენტობსა და სწავლაზე ძალიან ცუდად აისახება. მათი კონცენტრაცია მთლიანად გადატანილია თამაშზე, სწავლა კი უკანა პლანზეა გადაწეული. უნდა ავღნიშნო და დავაკონკრეტო ის ფაქტი, რომ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, ეს იქნება ონლაინ აზარტული თამაშები კაზინოები, თუ უბრალოდ ფსონების დადება, სტუდენტებისთვის და ზოგადად ყველასთვის მოაქვს მხოლოდ უარყოფით შედეგები. უარყოფითია შედეგები, როგორც მატერიალური ისე ფსიქიკური და სხვა მრავალი თვალსაზრისით.

კვლევის მიზანი:

კვლევის მიზანია გავიგოთ, როგორ ზეგავლენას ახდენს აზარტულ თამაშებში ჩართულობა სტუდენტებზე და ნათელი გავხადოთ, რამდენად საზიანოა მსგავსი ტიპის თამაშები მათთვის, ასევე რა მწვავე შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ ფაქტს.

კვლევის ობიექტი და საგანი

კვლევის ობიექტებს ჩვენს შემთხვევაში წარმოადგენენ კონკრეტულად აზარტულ თამაშებში ჩართული და მასზე დამოკიდებული სტუდენტები, ხოლო კვლევის საგანია, თუ როგორი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია სტუდენტებზე აზარტულ თამაშებს და მასზე დამოკიდებულებას.

კვლევის მეთოდები და შერჩევა

მოცემული თემის საკვლევად გამოყენებულია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. კონკრეულად თვისებრივი კვლევის დროს გამოვიყენეთ სიღრმისეული ინტერვიუ. თვისებრივი კვლევის მიზანია საკვლევი თემის ზედმიწევნით შესწავლა და კვლევაში მონაწილე რესპოდენტების დამოკიდებულებების სიღრმისეული გამოკვლევა. თვისებრივი კვლევის საშუალებით, ჩვენ რესპოდენტებს საშუალებას ვაძლევთ სიღრმისეულად ახსნან და გადმოსცენ თავიანთი მოსაზრება პრობლემური საკითხის მიმართ. ჩვენ საშუალება გვეძლევა შევისწავლოთ სტუდენტების აზარტულ თამაშებზე

დამოკიდებულების მიზეზები და შედეგები, ასევე თვალსაჩინო გავხადოთ სიტუაცია უშუალოდ კვლევის ობიექტების გადმოსახედიდან, ან მათ გარშემომყოფი საზოგადოებისგან. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მეთოდი საკითხის შესასწავლად შესაბამისია.

სიღრმისეული ინტერვიუს მეშვეობით რესპოდენტისგან ვიღებთ თანმიმდევრულ, ღრმა, დეტალურ ინფორმაციას მათი გამოცდილებდან გამომდინარე. რესპოდენტების ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ზუსტი საზოგადოებრივი კანონზომიერების დადგენა. მარტივად რომ ვთქვათ სიღრმისეული ინტერვიუ საშუალებას გვაძლევს მოცემული კვლევისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოვიპოვოთ.

რაც შეეხება რაოდენობრივ კვლევას. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩავატარე ონლაინ გამოკითხვა. გამოკითხულთა საერთო მაჩვენებელი არის 109 რესპოდენტი. ონლაინ გამოკითხვა ჩავატარე “Google Forms” პლატფორმის საშუალებით.

შერჩევა:

ნაშრომში გამოყენებულია არაალბათური შერჩევის ტიპი, კერძოდ ზედაპირული შერჩევა.

ტექსტის ძირითადი ნაწილი

მერაბ ჯულაყიძის ნაშრომის მიხედვით „თამაშთა თეორია ეკონომისტებისათვის“ თამაში შეჯიბრებითი აქტიურობაა. ამ ნაშრომში განხილულია თამაშთა თეორიები. თამაშთა თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ჯონ ფონ ნეიმანს. ეს ადამიანი ბავშვობიდან გამოირჩეოდა მათემატიკური უნარებით, მან წარმატებით დაამთავრა სასწავლებლები და უკვე მოგვიანებით გახდა პროფესორი, ასევე გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები. ჯერ კიდევ ინსტიტუტში სწავლის დროს, მან ოსკარ მონგესტერთან ერთად დაწერა

წიგნი „თამაშის თეორია და ეკონომიკური ქცევა“. ამ წიგნის მიხედვით შეიქმნა მოგვიანებით თამაშთა თეორიის მიმართულება. მოგვიანებით კი დაიწყო ამ თეორიის გამოყენება. ნებისმიერი თამაში ეს არის შეჯიბრება, მასში ლოგიკის ჩართვა შეუძლებელია. თამაშის დროს ადამიანი იღებს დიდ ადრენალინს და ადამიანი ხდება მასზე დამოკიდებული, ამ შემთხვევაში კი ვისაუბრეთ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ სტუდენტებზე. აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულება სტუდენტებში საგრძნობლად იზრდება, განსაკუთრებით კი ონლაინ აზარტულ თამაშებში. ახალგაზრდები აზარტულ თამაშებს საშიშად არ მიიჩნევენ, ეს მათთვის გართობის საშუალებაა და ვერ აანალიებენ რომ ისინი უკვე დამოკიდებულნი ხდებიან.

თემა 1. სტუდენტების ცხოვრება და აზარტული თამაშები

1.1რა საფრთხეები შეიძლება გამოიწვიოს სტუდენტებში აზარტულმა თამაშებმა

სტუდენტები დღეს ცხოვრობენ გარემოში, სადაც აზარტული თამაშები დასაშვებია და მარტივად ხელმისაწვდომი. აზარტული თამაშები იწვევს პოტენციურ მიჩვევას. აზარტული თამაშები ახალგაზრდებში მიჩნეულია აქტივობად, რისი საშუალებითაც მათ შეუძლიათ თანხის გამომუშავება. თამაშებმა სტუდენტებში შესაძლოა გამოიწვიოს ფსიქიკური აშლილობა, რაც იწვევს ადამიანში დაბალი თვითშეფასების დონეს. თუ პიროვნებას თამაშის დაწყებამდეც აწუხებდა ფსიქიკური აშლილობა ამ შემთხვევაში მას ყურადღება გადააქვს და თამაში მისთვის გამოსავალია. თამაში იწვევს პრობლემებს, როგორც ოჯახში ისე სამსახურში, სასწავლებელში, და ზოგადად საზოგადობაში, უჩნდება ფინანსური პრობლემები. თამაშზე დამოკიდებული ადამიანი ხდება ყველასთვის უცხო, მისთვის საინტერესოები ის ადამიანები ხდებიან ვინც მათ მსგავსად არიან თამაშზე დამოკიდებულები. სტუდენტებში აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება ძირითადად დაკავშირებულია ადრენალინთან. ადრენალინზე დამოკიდებულებამ და შეჩვევამ კი მოგვიანებით შესაძლოა გამოიწვიოს, მაგალითად, ისეთი ნივთიერებების გასინჯის სურვილი, რაც მათ დიდი ოდენობით ადრენალინის მოზღვავების საშუალებას მისცემთ.

აზარტულ თამაშზე დამოკიდებულნი ისე ხდებიან სტუდენტები, რომ ამას ვერც კი იაზრებენ. მათი მიჯაჭვულობა იწყება არა თანხის მოგებიდან, არამედ ფსონის დადებიდან, რადგან სიამოვნებას და იმ დიდ ემოციას, რასაც ისინი თამაშის დროს განიცდიან მოდის არა მოგებული ფულიდან, არამედ ფსონის დადებიდან. სწორედ ამიტომ მათთვის ფულის მოგება ან წაგება უკვე აღარ არის მნიშვნელოვანი ფაქტი, მთავარია მიეცეთ საშუალება თამაშში მონაწილეობის და პროცესით მიიღონ ადრენალინი, რაზეც დამოკიდებულნი არიან.

1.2თამაშის დაწყების მიზეზები

ზოგადად სტუდენტები აზარტულ თამაშებს სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე იწყებენ. თამაშის დაწყების დროს არავინ ფიქრობს იმაზე, რომ ეს ფაქტი შესაძლოა მათთვის ძალიან ცუდად დასრულდეს. ისინი თამაშის დაწყების დროს მოსალოდნელ საშიშროებებზე არ ფიქრობენ. მთლიანობაში თუ შევაჯამებთ ამ საკითხებზე არსებულ ინფორმაციას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აზარტულ თამაშებს ძირითადად ნეგატიური ცხოვრების მქონე სტუდენტები იწყებენ. ახალგაზრდები რომლებიც, რაიმე ფაქტორის ზემოქმედებით არიან ცხოვრებაში დაჩაგრულნი. ეს შეიძლება იყოს, ოჯახური მდგომარეობა, ფინანსური მდგომარეობა, ბავშვობაში გადატანილი სტრესი და სხვა. თუმცა არიან ისეთი სტუდენტებიც, რომლებიც არც ერთი პრობლემის წინაშე არ მდგარან ცხოვრების განმავლობაში და არანაირი მიზეზი არ აკავშირებთ აზარტული თამაშების დაწყებასთან. სტუდენტები მიმართავენ თამაშებს, რათა მიიღონ მყისიერი კმაყოფილების შეგრძნება. თამაშს იწყებენ ისეთი პრობლემის მქონე ადამიანებიც, რომლებიც განიცდიან მარტოობას და თამაშში ჩაფლულობით ცდილობენ ეს პრობლემა დროებით მაინც მოიგვარონ. ასეთ ადამიანებს უჭირთ საზოგადოებასთან კომუნიკაცია და საკუთარ თავში არიან ჩაკეტილები.

ძალიან ხშირია შემთხვევები სტუდენტებს შორის, როდესაც აზარტულ თამაშებს მეგობრები იწყებენ, როგორც უბრალოდ ჯგუფურ თამაშებს, ბევრი მათ შორის ფსონების დადებას არც კი თვლის აზარტულ თამაშად. ასეთ შემთხვევებში სტუდენტები ძალიან სწრაფად შედიან აზარტში, ვეღარ აკონტროლებენ საკუთარ

თავებს და გაუაზრებლად კარგავენ მცირე დროში დიდ თანხებს. მსგავს შემთხვევებში ახალგაზრდებში თამაშის დასრულების შემდეგ ხშირია სინანულის განცდა და ხშირ შემთხვევაში სურვილი უჩნდებათ თანხის უკან დაბრუნების, თუმცა ეს უკვე რათქმაუნდა შეუძლებელია და ამის გააზრების შემდეგ მათში იღვიძებს უკმაყოფილების შეგრძნება საკუთარ თავთან. ასეთი შემთხვევების დროს მოთამაშეებს უფრო უჭირთ თავის დანებება ამ მავნე ჩვევაზე. ფართო მაგალითი არსებობს აზარტული თამაშების დაწყების თანატოლების ზეწოლიდან გამომდინარე. როდესაც ყველა მეგობარი აზარტულ თამაშებშია ჩართული თანატოლებს უჩნდებათ გარიყულობის გრძნობა, რაც მათაც აიძულებთ იმავეს გაკეთებას. ან შეიძლება იყოს მეორე მიზეზიც, რომ თანატოლები მას აიძულებდნენ ითამაშონ დაცინვის ან თუნდაც იძულების საშუალებით, რაც კიდევ უფრო უარესია და ამ შემთხვევაში საქმე უკვე ჩაგვრასთან და ძალადობასთან გვაქვს.

აზარტული მოთამაშეების კატეგორიებში არიან ისეთი სტუდენტებიც, რომლებიც როგორც უკვე ავღნიშნეთ ზემოთ ადრენალინის გამო იწყებენ თამაშს და არიან ისეთებიც, რომლებიც ფულის გამო იწყებენ ამ ყველაფერს, მათ თამაშების მიმართ დამოკიდებულებას ფულის შოვნის სურვილი იწვევს.

1.3როგორ ზეგავლენას ახდენს აზარტული თამაშები სტუდენტების სწავლასა და აქტიურ ცხოვრებაზე

აზარტული თამაშები სტუდენტების აქრიურ ცხოვრებასა და სწავლაზე სერიოზული ხელის შემშლელი ფაქტორია. თამაშებზე გადართულმა სტუდენტმა ძალიან რთულია კონცენტრაცია მოახდინოს სწავლაზე, მას არ შესწევს მეცადინეობის ნებისყოფა, რადგან გონებრივად სულ სხვა რამეზეა გადართული. ასევე თამაშებში ჩართულობიდან გამომდინარე განიცდიან დროის უქონლობას, რაც სწავლასთან ერთად სტუდენტების აქტიურ ცხოვრებაზე აისახება. მათი აქტივობების ხელისშემშლელი ფაქტორია, ასევე ფინანსური მდგომარეობაც, თამაშების გამო მათ არ რჩებათ ფინანსები აქტიური ცხოვრებისთვის. ვინაიდან სტუდენტების მთელი რესურსები იხარჯება თამაშებში მონაწილეობაზე. მათთვის

არც არის საინტერესო რაიმე სხვა აქტივობა, არ უჩნდებათ სურვილი მეგობრებთან ერთად სხვადასხვა იდეები განახორციელონ, რადგან ბოლომდე გადართულები არიან აზარტულ თამაშებზე.

თემა 2. რატომ თამაშობენ სტუდენტები აზარტულ თამაშებს?

2.1. სიამოვნების მისაღებად

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული სტუდენტების გატეგორია თამაშებს იწყებს სიამოვნების მისაღებად. ზოგადად მსგავსი სტილის აქტივობის დროს, სადაც ჩართულია შიში, მაღალი ემოციები, რისკზე წასვლა, იწვევს დიდი რაოდენობით ადრენალინის გამოყოფას, ეს ჰორმონი კი ადამიანს აბედნიერებს და მოგვიანებით მოთამაშე ხდება დამოკიდებული თამაშებზე, სწორედ ადრენალინის მისაღებად. ამ შემთხვევაში სტუდენტს თამაშის დროს არ აქვს ფულის მოგების ამბიცია, ან სხვა რაიმე მიზანი, ის უშუალოდ სიამოვნების მიღებისთვის თამაშობს და გაუცნობიერებლად ხდება თამაშზე დამოკიდებული, ისევე როგორც ყველა აზარტული მოთამაშე.

2.2. ფინანსური კეთილდღეობისთვის

ძალიან ხშირია მოსაზრებები და ასევე ფაქტებიც იმის შესახებ, რომ სტუდენტები აზარტულ თამაშებს იწყებენ ფულის მოგების მიზნით და იმედით. ეს რა თქმა უნდა გამართლებაზეა, თუმცა თამაშის პროცესში გაუცნობიერებლად ისინი ხდებიან დამოკიდებულები თამაშებზე, რის შემდეგაც უკვე არა ფულის მოსაგებად, არამედ დამოკიდებულების გამო თამაშობენ. არსებობს აზარტული თამაშების ის კატეგორიაც, რომლებიც არ ნებდებიან და მუდმივად პოზიტიური განწყობით თამაშობენ იმ იმედით, რომ ახლა თუ წააგეს შემდეგ ჯერზე აუცილებლად მოიგებენ და ასე გრძელდება ყოველ ჯერზე. აზარტულ თამაშებში ჩართული სტუდენტები ვერ ხედავენ ფულის დაკარგვის საშიშროებას. მათი გონება გადართულია მხოლოდ და მხოლოდ თამაშის პროცესზე და აქვთ თუ არა სათამაშოდ ფინანსები, ამას უკვე არანაირი მნიშვნელობა აღარ ენიჭება. ისინი ყველა ღონეს და საშუალებას იყენებენ, რათა სათამაშოდ ფინანსები კვლავ

მოიპოვონ. თუმცა უნდა აღინიშნოს აქვე ისიც, რომ თამაშები მხოლოდ ფულის დაკარგვის საშიშროებას არ იწვევს, თამაშებზე დამოკიდებულებამ შესაძლოა ახალგაზრდები სიცოცხლისთვის საშიშ პრობლემებამდე მიიყვანოს. თამაშებზე დამოკიდებული სტუდენტები ხშირად სესხულობენ თანხას იმისთვის რომ კვლავ ითამაშონ, მათ იმედი აქვთ რომ მოგებული ფულით შეძლებენ ვალის სრულად დაფარვას. თუმცა როგორც უმრავლეს შემთხვევებში ხდება ისინი მოგებას ვერ ახერხებენ, და შესაბამისად ვერც ვალის გადახდას. ეს სრულიად შესაძლებელია ბევრჯერ განმეორდეს, მოთამაშემ ვალის გადახდა ვერ შეძლოს და დეპრესიის ან შიშის ფონზე მან სიცოცხლე ფატალურადაც კი დაასრულოს. ეს არის ყველაზე მძიმე მაგალითი მოთამაშეებს შორის, რომელიც საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული და ვითომდა უსაფრთხო, ბავშვურმა ონლაინ აზარტულმა თამაშებმა სრულიად შესაძლებელია მოთამაშე ადამიანი ასეთ დასასრულამდე მიიყვანოს.

2.3. თავდაჯერებულობის და თვითშეფასების ასამაღლებლად

ადამიანი არის სოციალური არსება, აქვს სოციალური ურთიერთიერთობები და მას გააჩნია თვითშეფასების უნარი. არსებობს ადამიანების კატეგორია, რომელთაც აქვთ საკუთარი თავის მიმართ მაღალი თვითშეფასების უნარი, და არის კატეგორია, ვისაც აქვს დაბალი თვითშეფასება. ადამიანს თვითშეფასებას აძლევს უპირველესად საკუთარი გარემო, სადაც ის ვითარდება. შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ ის, რომ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული სტუდენტებს ძალიან დაბალი თვითშეფასება გააჩნიათ. რაც შეიძლება მიზეზს დაბალი თვითშეფასებისას, ალბათ ამის უპირველეს წყაროდ უნდა დავასახელოთ ბავშვობის ტრავმები და პრობლემები. ბავშვობის პრობლემებში შეგვიძლია განვიხილოთ ოჯახიდან წამოსული ზეწოლა, თანატოლების მხრიდან ბულინგი ან თუნდაც საზოგადოებისგან გამოწვეული უხეში და არასწორი დამოკიდებულება ბავშვობაში. ეს ყველაფერი ბავშვის ფსიქიკაზე ძალიან ცუდად აისახება და მოგვიანებით უკვე მის ცხოვრებაში იჩენს თავს. ყველაფერი ეს მოგვიანებით ხდება მიზეზი ადამიანის საკუთარ თავზე დაბალი თვითშეფასების ქონის. ჩვენი თემის

შემთხვევაში ახალგაზრდა სტუდენტებში აზარტული თამაშები იწვევს ისეთ არასასურველ ცხოვრებისეულ მოვლენებს, როგორიცაა მაგალითად, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება. სწორედ ამ თვითშეფასების და თავდაჯერებულობის ასამაღლებლად იწყებენ სტუდენტები თამაშებს, რაზეც მოგვიანებით ხდებიან დამოკიდებულები. მათი გადმოსახედიდან თამაშები მათ უფრო მეტად თავდაჯერებულებს ხდის, რაც მოგვიანებით უკვე მათთვის თვითშეფასების ამაღლებასთან ასოცირდება. ამ პრობლემის წინაპირობას ვფიქრობ, ბავშვობაში თანატოლების მხრიდან ბულინგის საკითხიც კი ოჯახს და კონკრეტულად მშობლებს უკავშირდებათ. მშობლები ვალდებულები არიან იზრუნონ თავიანთ შვილებე და შეუქმნან იმის წინაპირობა, რომ მოგვიაქნებით მსგავსი ცხოვრებით არ იცხოვრონ.

2.4. არასასურველი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად

სტუდენტები ხშირად ხვდებიან არასასურველ გარემოში, ეს შეიძლება იყოს ოჯახი, სასწავლებელი, სამეგობრო წრე, რაც მათთვის არასასიამოვნო და დამთრგუნველია. სწორედ ასეთი გარემოსაგან თავის დასაღწევად შეიძლება იყოს გამოწვეული აზარტული თამაშების დაწყება. თამაშში ისინი თითქოს გამოსავალს ხედავენ მსგავსი სიტუაციებიდან თავის დასაღწევად. ასევე ყურადღება გადააქვთ არასასურველი აზრებისა და გრძნობებისაგან.

ერთ-ერთ მსგავს მდგომარეობად შეიძლება ჩავთვალოთ COVID-19-ის დროს შექმნილი სიტუაცია. ეს პერიოდი რეალურად ყველასთვის კრიზისული იყო განსაკუთრებით კი სტუდენტებისთვის, რადგან მათ აქტივობას ამ შემთხვევაში წარმოადგენდა სწავლა და უნივერსიტეტში სიარული, ისინი კი მოულოდნელად აღმოჩნდნენ სახლში გამოკეტილები. რა თქმა უნდა ასეთი სიტუაცია ყველა ადამიანის ფსიქიკაზე ცუდად იმოქმედებდა. სწორედ მოულოდნელი სახლში გამოკეტვა და უცბად ყველანაირ აქტივობას მოწყვეტა ერთ-ერთი მიზეზია სტუდენტების ონლაინ თამაშებში ჩართულობის. სახლში ჩაჯდომა და მოულოდნელი ეგრეთწოდებული უსაქმურობის პერიოდი სტუდენტებისთვის რთულად გადასალახი აღმოჩნდა, ამიტომაც მათ ამ სიტუაციიდან გასაქცევად და

თავის დასაღწევად დაიწყეს მსგავს აქტივობებში ჩართვა, როგორიცაა აზარტული თამაშები. რა თქმა უნდა დასაწყისისთვის სახალისოც იქნებოდა ვითომდა არასაზიანო თამაშებში მონაწილეობა, თუმცა ეს სტუდენტები მოგვიანებით ამ თამაშებზე დამოკიდებულები გახდნენ და თავის დაღწევა არც თუ ისე მარტივი იქნებოდა.

თემა 3. აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული სტუდენტები და საზოგადოება

3.1. როგორი დამოკიდებულება აქვს საზოგადოებას აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული სტუდენტების მიმართ?

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული სტუდენტების ცხოვრებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საზოგადოების დამოკიდებულება. უმეტესწილად საზოგადოების დიდ ნაწილს ასეთი ახალგაზრდების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ. მსგავსი უარყოფითი დამოკიდებულება განპირობებულია იმითაც, რომ აზარტული მოთამაშის და არამოთამაშის ცხოვრების წესი რადიკალურად განსხვავებულია ერთმანეთისგან. მათი სასაუბრო თემები სხვადასხვაა და შესაბამისად ძნელია ერთმანეთთან ურთიერთობის დამყარება. მოთამაშის ქმედებები, ფიქრები განსხვავებულია ჩვეულებრივი მოქალაქისაგან, ისინი ვერ პოულობენ საერთო სასაუბრო საკითხს და შესაბამისად ურთიერთობის აწყობაც ასე შეუძლებელია.

3.2. რა პრობლემებს აწყდებიან მოთამაშეები სოციალიზაციის პროცესში?

სოციალიზაცია, ეს არის ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი. ამ პროცესის დროს ინდივიდი იძენს სოციალურ ნორმებს, ქცევებს, ღირებულებებს, მოკლედ რომ ვთქვათ ის ყალიბდება საზოგადოებისთვის დადებით და მისაღებ პიროვნებად. აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ ადამიანებზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოციალიზაციის პროცესი სრულად არ აქვთ გავლილი. სოციალიზაციის პროცესის დროს არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ საზოგადოების დამოკიდებულება აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული სტუდენტების მიმართ. ჩვენ შეგვიძლია ფართოდ ჩავშალოთ თემა მოთამაშეების დამოკიდებულება

საზოგადოების მიმართ. აზატულ თამაშებზე დამოკიდებულ სტუდენტებს თუ დავაკვირდებით არც თუ ისე კარგი დამოკიდებულება აქვთ ჩვეულებრივი არამოთამაშე საზოგადოების მიმართ. მოთამაშეები ხდებიან ძალიან პასიური არსებები, შეიძლება მათი ნაწილი უსაქმურები და სხვების ხარჯზე მცხოვრები პიროვნებებიც კი იყვნენ. მათთვის უკვე უცხოა პასუხისმგებლობა მუშაობას, საოჯახო სააქმეებსა თუ ვალდებულებებთან დაკავშირებით. არის დაოჯახებულ სტუდენტებში ისეთი შემთხვევები, როგორიცაა მაგალითად, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების გამო ეზარებათ, დროს ვერ გამონახავენ, ან თუნდაც არ თვლიან საჭიროდ, რომ იმუშაონ და ოჯახში ფინანსური პრობლემები გადაჭრან. მსგავსი შემთხვევები ძალიან ხშირად ხდება ოჯახების დანგრევის მიზეზი, რადგან ახალგაზრდები თავიანთ პასუხისმგებლობებს ვერ გრძნობენ და იაზრებენ.

სოციალიზაციის პრობლემად შესაძლოა წამოიჭრას ისიც, რომ აზარტულ თამაშეებზე დამოკიდებული სტუდენტები მოულოდნელად ვარდებიან დიდ ფნანსურ პრობლემებში და გაუცნობიერებლად შეიძლება ამას კიდევ უფრო დიდი პრობლემაც დაამატონ. მაგალითად ვალის გადასახდელად მოუწიოთ სახლის გაყიდვა და არა მარტო საკუთარი თავი, არამედ მთელი ოჯახი ცის ქვეშ დატოვონ. ეს რათქმაუნდა გახდება ოჯახის დანგრევის მიზეზი, რადგან იშვიათი ადამიანი იქნება ალბათ, ვინც მსგავს სიტუაცებს აიტანს სხვების გამო და ამაზე უბრალოდ თვალს დახუჭავს.

3.3. როგორ შეგვიძლია დავეხმაროთ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ სტუდენტებს?

ყველა სახის აზარტული თამაში უკვე ძალიან მარტივად ხელმისაწვდომი გახდა, რაც ამ საკითხის მიმართ საშიშროებას უფრო მეტად ზრდის. ასეთ შემთხვევაში დიდი როლი ეკისრებათ მშობლებს, ისინი ყველანაირად უნდა შეეცადნენ დაიცვან თავიანთი შვილები ამ პრობლემისგან. ყოველთვის არის შესაძლებელი აზრტულ თამაშებზე დამოკიდებულ ადამიანებს დავეხმაროთ და შევძლოთ დავანახოთ სწორი გზა, როგორ დააღწიონ თავი ამ მავნე ჩვევას. პირველ რიგში მათ უნდა

შეიტყონ ინფორმაცია აზარტული თამაშების რისკებსა და საფრთხებზე. აუცილებელია ასეთ ახალგაზრდებს გვერდით დავუდგეთ და დავეხმაროთ თავიანთი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალონ. არსებობს ისეთიორგანიზაციები ვინც ასეთ ადამიანებს ამ დამოკიდებულების დაძლევაში დაეხმარება. აუცილებელია ყველა ჩართული იყოს ამ პრობლემის მოგვარებაში, რადგან დღითიდღე აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების მაჩვენებელი საგრძნობლად იზრდება და შესაძლოა ამ დამოკიდებულების მსხვერპლი ჩვენს გარშემო მყოფი ახლობელი ადამიანები გახდენ ან თავად ჩვენ.

თვისებრივი კვლევის შედეგები

აღნიშნულ პრობლემულ საკითხთან დაკავშირებით „აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული სტუდენტები“ კვლევის ფარგლებში ჩავატარე 12 სიღრმისეული ინტერვიუ თსუ-ს სტუდენტებში. შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა, გამოკითხულთაგან 5 მამაკაცი, ხოლო 7 ქალი იყო. გამოკითხულთა ასაკობრივი მაჩვენებელი კი 19-დან 35 წლამდე სტუდენტეი იყვნენ. კვლევის პასუხებიდან გამომდინარე შეგვიძლია გამოვყოთ ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ნაკვლევი თემიდან. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ აღმოჩნდა ადამიანების კატეგორია, რომლებიც მაგალითად თამაშობდა ან/და ახლაც თამაშობს იშიათად აზარტული თამაშების გარკვეულ სახეობებს, თუმცა არ თვლის, რომ მოთამაშეა. ეს საკითხი კიდევ უფრო მწვავე პრობლემას წარმოადგენს კაცობრიობისთვის, რადგან ფაქტობრივად მოთამაშეები ვერ აცნობიერებენ იმას, რომ აზარტულ თამაშებს თამაშობენ და მასზე დამოკიდებულები არიან.

„ჩემი მეგობრი, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ძალიან აქტიური, აზარტული მოთამაშე იყო. თავიდან თამაშობდა პოკერს, რულეტკას, სლოტებს. თითქმის ყველა სახის აზარტულ თამაშში იყო ჩართული. მოგვიანები საორიენტაციო წრე შეამცირა და მხოლოდ სლოტების თამაში განაგრძო. ხშირია ახლაც შემთხვევები, რომ მაგალითად ფეხბურთის ან სხვა რაიმე თამაშების დროს მეგბრებთან ერთად სლოტებს ჩამოდის, თუმცა მისი აზრით, სლოტები არ არის

აზარტული თამაში და ეს ძალიან უმნიშვნელო გასართობად მიაჩნია. ხშირად გვქონია ამ საკითხთან დაკავშირებით საუბრები, მსეჯობა, მიცდია რამენაირად ამეხსნა და დამენახებინა, რომ არ აქვს მნიშვნელობა რა სახის თამაშს თმაშობ, ან/და რა სიშირით, შენ მაინც აზარტულ მოთააშედ ითვლები, თუმცა მისი აზრი ურყევი და მტკიცეა ყოველთვის და თავს აზარტულ მოთამაშედ მითუმეტეს კი დამოკიდებულად აზარტულ თამაშებზე, არ მიიჩნევს“ - თათია, აზარტულ თამაშებზე გაუცნობიერებლად დამოკიდებული ახალგაზრდის მეგობარი, 30 წლის.

„ონლაინ აზარტულ თამაშებს ხშირად ვთამაშობ, რადგან ეს ჩემთვის უფრო კომფორტულია ვიდრე კაზინოში წასვლა და იქ თამაში. სახლიდან გაუსვლელად შემიძლია დრო სახალისოდ გავიყვანო. ვფიქრობ, დამოკიდებულებას არ იწვევს ონლაინ აზარტული თამაშები, ნებისმიერ დროს ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ითამაშოს და ეს პრობლემა არ არის“ - ონლაინ აზარტულ თამაშებში ჩართული ნიკა, 19 წლის.

გამოკიხული რესპოდენტების პასუხებიდან გამომდინარე ნათელია, რომ არის საზოგადოება, რომლიც თამაშობს აზარტულ თამაშებს, აქტიურადაა ამ პროცესებში ჩართული, თუმცა ამას არ აღიარებენ და არ თვლიან რომ მოთამაშეები არიან. ასევე არის მოთამაშეების ის კატეგორიაც, რომლებსაც მხოლოდ კაზინოში შესვლა მიაჩნიათნაზარტული თამაშების თამაშად ან/და

დამოკიდებულებად. ისინი თვლიან რომ სახლიდან გაუსვლელად მალულად ონლაინ აზარტული თამაშების თამაში მათ აზარტულ მოთამაშეებად არ ხდის და ეს უბრალოდ მცირე გასართობია, თუმცა ეს რასაკვირველია რეალობას მოკლებული მოსაზრებებია, რომლებითაც უბრალოდ თავს აჯერებენ თითქოსდა არაფერს აშავენ კაზინოში არ შესვლით და უდანაშაულოები არიან. საზოგადოების დიდი კატეეგორია არც კი აღიარებს, რომ მოთამაშეა და ამ ინფორმაციას საგულდაგულოდ მალავს.

„ერთხელ მეგობართან ერთად ვიყავი და მოულოდნელად მომივიდა თავში აზრად ჩემი მცირე ბიუჯეტი ონლაინ აზარტულ თამაშში ჩამედო. ვითამაშე და პირველ

ჯერზე გაგვიმართლა, მოვიგეთ, შესაბამისად ნათამაშები თანხაც უკან დავიბრუნეთ. რადგან პირველივე ჯერზე გაგვმართლა და მოვიგეთ გდავწყვიტე უკან აღებული საწყისი თანხით კვლავ მეთამაშა, თუმცა მეორე ჯერზე წავაგე და ეს თანხა დაკარგე. მას შემდეგ აღარ მითამაშია და ვფიქრობ მაშინაც შეცდომა დავუშვი. ჩემი აზრით, არანაირი რაოდენობის თანხის დახარჯვა არ ღირს ონლაინ თამაშებში.“ - თავის გამოცდილება გაგვიზიარა მარიმმა, 25 წლის.

გამოკითხული რესპოდენტის პასუხიდან გამომდინარე, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ არსებობს საზოგადოების ისეთი კატეგორიაც, ვისაც უთამაშია აზარტული თამაშების, რომელიმე ერთი სახეობა, თუმცა თამაშის წაგების შემდეგ ძალიან უნანია თავისი საქციელი და უთქვამს, რომ სისულელეა აზარტულ თამაშებში დროის, განსაკუთრებით კი ფინანსების დახარჯვა. ასეთი კატეგორია აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულთა სიაში არ შედის, მათ საკუთარი თავის კონტროლი შეუძლიათ და მარტივად არჩევენ კარგ და ცუდ საქციელს, რომელიც თავიანთ ცხოვრებაზე მოგვიანებით შესაბამისად აისახება.

„ჩემი ბიძაშვილი თამაშობდა აზარტულ თამაშებს. თითქმის ყველანაირი სახის აზარტულ თამაშში იყო ჩართული (მაგ: პოკერი, სლოტები, რულეტკა, ონლაინ აზარტული თამაშები). მსთვის ეს უკვე ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი იყო. ხვდებოდა იმას რომ ამით საკუთარ თავსაც აყენებდა ზიანს და ოჯახის წევრებსაც. სხვადასხვა გზით ცდილობდა უკვე ამ მწვავე სენისთვის თავი დაეღწია. გარკვეული პერიოდი მონასტერშიც კი იყო წასული, სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად. მიუხედავად ყველანაირი მცდელობების და ოჯახის წევრების დდი სიყვარულის, ამ დაავადებასთან გამკლავება მან ვერ შეძლო. დიდ თანხებთან ქონდა ურთიერთობა, იმდენად დიდთან, რომ გადახდას ვეღარ ახერხებდა. თამაშის პროცესთან ერთად დაეწყო დეპრესია, სასოწარკვეთა, საკუთარ თავს უკვე ვეღარ ცნობდა. საბოლოოდ მან არაერთი მცდელობის მიუხედავად ამ დაავადებისთვის თავი დაეღწია თავისი სიცოცხლე ფატალურად დაასრულა“ - აზარტული თამაშებზე დამოკიდებული მძიმე წარსულის მქონე ახალგზრდა პიროვნების ბიძაშვილი გიორგი, 23 წლის.

გამოკითხული რესპოდენტის მიერ მიღებული ინფრმაციიდან გამომდინარე ამ ახალგაზრდის სიტუაცია, რომელიც ხვდებოდა თავის პრობლეას და თავის დაღწევასაც ყველანაირი გზით ცდილობდა ამ პრობლემისაგან, ურთულესია, მართლაც საშინელებაა, რადგან ადამიანი აზარტლი თამაშების გამო თავის მოკვლის გადაწყვეტილებამდე მივიდა. მისი ცხოვრება მძიმედ და ტრაგიკულად დასრულდა, რადგან ვერ შეძლო თავის დანებება თამაშებისთვის. აზარტული თამაშები ეს არ არის უბრალოდ გასართობი თამაშები. ამ ყველაფერს საჭიროა ყველამ უფრო სერიოზულად შეხედოს და უფრო საშიშად მიიჩნიოს გარშემომყოფთა მსგავსი მაგალითებიდან გამომდინარე. სამწუხაროდ დასრულდა როგორც თავად თამაშების მსხვერპლი პიროვნების ცხოვრება, ასევე მისი ოჯახის წევრებისაც, რადგან მათ საყვარელი ადამიანი დაკარგეს ამ დაუძლეველი სენის წყალოობით.

„ვფიქრობ აზარტულითამაშები ყოვლად საზიანოა სტუდენტებისთვის და ზოგადად საზოგადოებისთვის. დამოკიდებულება შესაძლოა ნებისმიერი სახის აზარტულმა თამაშმა გამოიწვიოს. განსაკუთრებით სტუდენტებში, რომელთა ძირითად მასას ახალგაზრდები წარმოადგენენ, ხშირია მსგავსი სიტუაციები, როდესაც თამაშს იწყებენ და მასზე დამოკიდებულები ხდებიან. 18 წლიდან ახალგაზრდა სრულწლოვან პიროვნებად ითვლება და თითქმის ყველაფრის უფლება ენიჭება. მათ შორის უპრობლემოდ შეუძლია ნებისმიერ აზარტულ თამაშში მონაწილეობის მიღება. ეს ძირითად პრობლემას წარმოადგენს ახალგაზრდებისთვის, რადგან 18 წელი არ არის ის ასაკი ახალგაზრდამ გაიაზროს აზართული თამაშების უარყოფითობა. არარეკომენდირებულად ვთვლი იმას, რომ 18 წლიდან ნებისმიერი მოქალაქისთვის დასაშვებია თამაშებში მონაწილეობა“ - გამოკითხული რესპოდენტი, სტუდენტი ანანო, 22 წლის.

რესპოდენტმა აღნიშნულ საკითხზე რეალური შთაბეჭდილება შეგვიქმნა და ერთ-ერთი სწორი მიზეზი დაგვანახა აზარტული მოთამაშეები ზრდისა. გამოკითხულთაგან უმრავლესობა მიიჩნევს და თან ძალიან მყარად ასაბუთებს, რომ 18 წლის ახალგაზრდას არ უნდა ჰქონდეს უფლება მსგავს აქტივობში

მონაწილეობა მიიღოს, რადგან არ შესწევს ძალა აკონტროლოს თავი. ამ ასაკიდან თამაშის დაწყება მარტივად იწვევს მოგვიანებით აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას.

გამოკითხული რესპოდენტების გარკვეულმა კატეგორიამ ისაუბრა იმაზეც, რომ არსებობს აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული საზოგადოების გარკვეული ნაწილი, ვინც თავისი გამოუვალი სიტუაციის გამო არა საკუთარ თავს აზიანებენ, არამედ გარშემო მყოფ ადამიანებს. მოთამაშემ, რომელიც ვერ იხდის თამაშებიდან დაგროვილ უკვე დიდძალ თანხას, სრულიად შესაძლებელია თანხის საშოვნელად ვინმე შეაშინოს და თანხა წაართვას, თუ მსხვერპლი გაუძალიანდება კი მასზე ზეწოლაც კი მოახდინოს. ამ შემთხვევაში მოთამაშე ძალიან მარტივად ხდება მოძალადე და ამის არაერთი მაგალითი მოიძებნება ჩვენს ირგვლივაც.

რაოდენობრივი კვლევის შედეგები

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა ონლაინ გამოკითხვა სტუდენტებზე, რომლებიც აზარტულ თამაშებზე არიან დამოკიდებულნი. გამოყენებული მაქვს სტრუქტურირებული კითხვარი. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა. ონლაინ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 109 რესპოდენტმა. მცირე მოცულობიდან გამომდინარე შედეგები ასახავს ზოგად ტენდენციებს. ინფორმაციის უფრო თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად გამოვიყენე დიაგრამები.

გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების შედეგები ასაკობრივი მაჩვენებლის მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად: 1) 18-23 წლის ასაკობრივი მაჩვენებელი - 72,5%; 2) 24-29 წლის ასაკობრივი მაჩვენებელი- 25,7%; 3) 30-35 წლის ასაკობრივი მაჩვენებელი - 1,8%; 4) 36-41 წლის ასაკობრივი მაჩვენებელი - 0%; 5) 41+ წლის ასაკობრივი მაჩვენებელი - 0%.



გამოკითხვაში მონაწილე საზოგადოებიდან 62,6%-ს შეადგენდნენ მდედრობითი სქესის წარმომადგენლები, 37,4%-ს კი მამრობითი სქესის წარმომადგენლები.



გამოკითხული რესპოდენტებიდან ძირითად ნაწილს 85,3%-ს შეადგენდნენ უმაღლესი განათლების (ბაკალავრიატი)-ის წარმომადგენლები, 7,3%-ს შეადგენდნენ უმაღლესი განათლების (მაგისტრატურის) წარმომადგენლები, ასევე 6,4%-ს წარმოადგენდნენ სრული ზოგადი/საშუალო განათლების წარმომადგენლები, ხოლო 0,9%-ით აღნიშნულია უმაღლესი განათლების (დოქტურანტურის) წარმომადგენლები.



შემდეგი მაჩვენებლის შედეგები შედარებით მრავალფეროვანია: კვლევაში მონაწილე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები შეადგენენ - 29,4%-ს; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები - 7,3%-ს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები - 12,8%-ს; ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები - 17,4%-ს; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტები - 13,8%-ს; იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები - 12,8%-ს; მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები - 6,4%-ს.



გამოკითხულ რესპოდენტთა ოჯახური მდგომარეობა შემდეგნაირია: არასდროს ყოფილა ქორწინებაში - 54,1%;არარეგისტრირებულ ქორწინებაში/თანაცხოვრებაში მყოფი სტუდენტები- 19,3%; განქორწინებული/გაშორებული - 5,5%; ქვრივი - 0%; რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი სტუდენტების ერთობლიობა კი ჯამში შეადგენს - 21,1%-ს.



გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების მონაცემები დასაქმებასთან დაკავშირებით შემდეგნაირია: 1) გამოკითხულთაგან მუდმივად დასაქმებულია - 31,2%; 2) სეზონურად დასაქმებულია - 7,3%; 3) არარეგულარულად დასაქმებული - 11,9%; 4) თვითდასაქმებული (პირადი ბიზნესი, რაიმე საქმიანობა) – 17,4%; 5)სამუშაოს მაძიებელი-11%; 6) დაუსაქმებელი ეძებს სამსახურს - 4,6; 7)დაუსაქმებელი არ ეძებს სამსახურს - 3,7%; 8) სტუდენტი - 11%; 9) დიასახლისი - 1,8%; 10) პენსიონერი - 0%.



გამოკითხული რესპოდენტებიდან აზარტული თამაშების მიმართ შეხედულებაზე გაცილებით დიდი ნაწილი მთლიანი მაჩვენებლის 80,7% უარყოფითად არის განწყობილი, თუმცა 19,3% აზარტულ თამაშებზე დადებით აზრის არის.



გამოკითხულთაგან 70,1% ადასტურებს რომ აზარტული თამაშები არასდროს არ უთამაშია, გამოკითხულთა 29,9% კი მოთამაშედ ფიქსირდება ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების მიხედვთ გამოკითხულთა 75,8% იძახის რომ დამოკიდებული არ არის, 24,2% კი აფიქსირებს მოსაზრებას, რომ დამოკიდებულია აზარტუ თამაშებზე.

შემდეგი კითხვის მიხედვით დავადგინეთ, რამდენად ხშირად თამაშობენ თსუ-ს სტუდენტების აზარტულ თამაშებს: 40,6% - ძალიან იშვიათად თამაშობს; 28,1% - ძალიან იშვიათად თამაშობს; 21,9% -ხშირად თამაშობს; ხოლო 9,4% - ძალიან ხშირი მოთამაშეა აზარტული თამაშების.

გამოკითხულ რესპოდენტთა დაინტერესება სხვადასხვა აზარტული თამაშების მიმართ განაწილდა შემდეგნაირად: 1) სლოტებს თამაშობს - 31,3%; 2) პოკერს თამაშობს - 18,8%; 3) ბანქოს მოთამაშეა - 12,5%; 4) ლატარიის მოთამაშეთა საერთო მაჩვენებელი შეადგენს - 9,4%-ს; 5) აზარტული თამაშების სხვა სახეობებს კი თამაშობს - 28,1%.

გამოკითხულ რესპოდენტთა აზრით, მინიმალური/მაქსიმალური თანხა, რასაც დახარჯავდნენ ან/და დაუხარჯავთ აზარტულ თამაშებში მონაწილეობის დროს შემდეგნაირი მაჩვენებლებით ფიქსირდება: 1) 0-100 - 53,1%; 2)100-1000 - 43,8%; 3) 1000-10000 - 3,1%; 4) 10000+ - 0%.

კვლევის კითხვების მიხედვით შევიტყვეთ რა აზრის არიან რესპოდენტები იმის შესახებ, რომ 18 წელს ზემოთ აზარტულ თამაშებში მონაწილეობა ყველასთვის შესაძლებელი რომ არის. 62,9% თვლის რომ 18 წელს ზემოთ ყველასთვის დასაშვები არ უნდა იყოს მსგავსი თამაშებში მონაწილეობა, 37,1% კი მიჩნევს, რომ ეს ფაქტი მისაღებია მათთვის და არანაირად არ წარმოადგენს პრობლრმურ საკითხს.

გამოკითხული რესპოდენტებიდან მიღებული პასუხების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოკითხულთა უმრავლეს ნაწილს, რომლებიც შეადგენენ მთლიანი რაოდენობის 83,2%-ს, არ ჰქონიათ არასდროს მსგავსი სურვილი ან/და მოთხოვნილება ეთამაშათ აზარტული თამაშები; 16,8%-ს კი აზარტული თამაშების თამაშის სურვილი ჰქონიათ.

გამოკითხული რესპოდენტების პასუხებიდან გამომდინარე 67% თვლის, რომ აზარტულ თამაშებს ახალგაზრდებზე, ამ შემთხვევაში კი სტუდენტებზე უარყოფითი ზეგავლენა აქვს, 0,9% მიიჩნევს რომ აზარტული თამაშები ახალგაზრდებზე არანაირად არ ახდენს უარყოფით ზეგავლენას, 32,1% კი თვლის, რომ ნაწილობრივად უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია აზარტულ თამაშებს სტუდენტებზე.

გამოკითხული რესპოდენტების პასუხებიდან გამომდინარე აზარტული თამაშების შესახებ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს: 1) სოციალური ქსელები - 55%; 2) ტელევიზია - 20,2%; 3) ოჯახის წევრები - 3,7%; 4) სამეგობრო წრე - 11,9%; 5) ოპერატორების მიერ გამოგზავნილი ტექსტური შეტყობინებები - 1,8%; 6) სხვა - 7,3%.

გამოკითხული რესპოდენტებიდან მიღებული პასუხების მიხედვით ვიგებთ, რომელი ფინანსური წარმომადგენლის ადამიანები არიან აზარტულ თამაშებში ჩართულნი:1) სტაბილური შემოსავლის მქონე ადამიანები - 3,7%; 2) ფინანსურად ძლიერი ადამიანები - 22%; 3) ფინანსურ კრიზისში მყოფი ადამიანები - 3,7%; 4) საარსებო შემოსავლის მქონე ადამიანები - 2,8%; 5) ვფიქრობ, აზარტულ თამაშებში

ჩართულობას ადამიანის შემოსავალი არ განსაზღვრავს, ამ მოსაზრება იზიარებს გამოკითხული რესპოდენტებისვ - 67,9%.

გამოკითხული რესპოდენტების 45,9% ფიქრობს, რომ სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების დაძლევა, თუმცა ეს ყველაფერი დიდ ძალისხმევას საჭიროებს; 32,1% თვლის, რომ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების დაძლევა სრულიად შესაძლებელია; ხოლო 22%-ის მოსაზრებით აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების დაძლევა შეუძლებელია.

დასკვნა

ზემოთაღნიშნული ინფორმაციიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აზარტულ თამაშებს არანაირი სარგებელი არ მოაქვს სტუდენტებისთვის, პირიქით თამაშები ზოგადად უარყოფით ზეგავლენას ახდენს მოზარდებზე. აზარტულ ტამაშებში ჩართულობა სტუდენტებისთვის დამღუპველი ფაქტორია. დღესდღეისობით შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა საზოგადოებისთვის. აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული სტუდენტები რადიკალურად ცალკე სამყაროს წარმომადგენლებად ითვლებიან, რადგან სრულიად განსხვავებული ინტერესები ამოძრავებთ. ძალიან რთული მდგომარეობაა ამ მხრივ და შესაბამისად ამ პრობლემის მოგვარებაც უფრო და უფრო რთულდება. სოციალური ქსელები, მედია-საშუალებები, ოპერატორთა ჯგუფები და ა.შ. გვაწვდიან ამომწურავ ინფორმაციებს თამაშების შესახებ, არეკლამებენ და პირდაპირ ღიად გვიწვევენ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად. დავამატებ იმასაც, რომ თამაშის სანაცვლოდ მხოლოდ მოგებას აშუქებენ და არანაირ წაგებას, რასაც მოსდევს ძალიან დიდი პრობლემები.

რჩევა-რეკომენდაციები

რჩევა-რეკომენდაციებში რაც შემიძლია ვთქვა არის ის, რომ ტელევიზია, მედია-საშუალებები არ უნდა აშუქებდნენ ასე მაშტაბურად აზარტულ თამაშებს. ასევე უნდა იყოს გარკვეული ასაკობრივი ზღვარი მოთამაშებისთვის. საჭიროა

საზოგადოებას ყველანაირად უნდა მოვუწოდოთ აზარტული თამაშების უარყოფისკენ, რადგან ის სტუდენტებისთვის და ზოგადად საზოგადოებისთვის დამღუპველია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.https://gamblershelp-com-au.translate.goog/learn-about-gambling/effects-of-gambling/?_x_tr_sl=en&_x_tr_tl=ka&_x_tr_hl=ka&_x_tr_pto=sc&fbclid=IwAR0lHZIfEqZ7j47VZ4UqWkImIchtztxyTeRz30LjaiSxh8tYlPNOef1EI7g

2.https://www-bartleby-com.translate.goog/essay/Effects-Of-Gambling-On-College-Students-FKJWU6W3PT85?_x_tr_sl=en&_x_tr_tl=ka&_x_tr_hl=ka&_x_tr_pto=sc&fbclid=IwAR3NOfSLerYZl_7N1pVSlzWrPH1bewwiiqXxJJhCg4r1UuZiVev_GZCa6_k

3.https://www-digitalinformationworld-com.translate.goog/2022/09/gambling-addiction-among-college.html?_x_tr_sl=en&_x_tr_tl=ka&_x_tr_hl=ka&_x_tr_pto=sc&fbclid=IwAR0SOOoIz3or3GS-PpEqydEAom2X1OLyqAF6PUxVyMsjvymPRx5yBCqw4r0

4.https://www-algamus-org.translate.goog/blog/risks-teen-gambling?_x_tr_sl=en&_x_tr_tl=ka&_x_tr_hl=ka&_x_tr_pto=sc&fbclid=IwAR18JR85U01w3AcpzwSFtJr7wusBd14BXAfxUKReY60Flok6P-W1tEjfUfU

5.https://www-mentalhealth-org-uk.translate.goog/explore-mental-health/a-z-topics/gambling-and-mental-health?_x_tr_sl=en&_x_tr_tl=ka&_x_tr_hl=ka&_x_tr_pto=sc&fbclid=IwAR0gGhFArxQu-lOvRmYtHfqLhYLhNLCtxh8b0wS2XRit2pOZjToIOfK2ITU

6.https://www-topuniversities-com.translate.goog/student-info/health-support/student-gambling-how-identify-manage-gambling-addiction?_x_tr_sl=en&_x_tr_tl=ka&_x_tr_hl=ka&_x_tr_pto=sc&fbclid=IwAR23FVYLEL6Yssb5EpCRJbDXxMdDa9q_09xl3MaJK0q9UDXGjDWEJI-F_mY

7.https://nyproblemgamblinghelp-org.translate.goog/blog/college-students-gambling/?_x_tr_sl=en&_x_tr_tl=ka&_x_tr_hl=ka&_x_tr_pto=sc&fbclid=IwAR14ygfYzbRrnQ4h5mket2vIGXFDlw31rMXubdJk8XhqKwaePSjEamb74sc

8. https://www.unicef.org/georgia/media/6921/file/%E1%83%90%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%9A

%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C
%E1%83%93%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97
%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1
%E1%83%AA%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1,
%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90
%E1%83%93%E1%83%90
%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1
%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90.pdf?fbclid=IwAR0vtPUuJOzOkvbGWLkrXHfrfeuxIOrEAYcSV4CzmbeXaOnMLW51drowSN4

9.მერაბ ჯულაყიძე - „თამაშთა თეორია ეკონომისტებისათვის(Game Theory for Economists), (2018).

10.ზურა ჩხაიძე - „თვითშეფასების მნიშვნელობა გადაწყვეტილებების მიღების დროს“